საკონკურსო პროცედურების შესახებ

რას გულისხმობს ERASMUS+ გაცვლითი პროგრამა?

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტმობილობა (ICM) 1 ან 2-სემესტრიანი გაცვლითი პროგრამაა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის.

გაცვლითი პროგრამები ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ინტერ-ინსტიტუციური ხელშეკრულების ფარგლებში.

პროგრამა გულისხმობს პარტნიორ უნივერსიტეტში მობილობას კრედიტების დაგროვების მიზნით, შესაბამისად, უცხოეთში გატარებული სასწავლო პერიოდი უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტის სასწავლო პროგრამას და სწავლის საფეხურს მშობლიურ უნივერსიტეტში.

რა დაფინანსებას მოიცავს ERASMUS+ გაცვლითი პროგრამა?

ERASMUS+ მობილობის ფარგლებში სრულად ანაზღაურებადია სწავლისა და მგზავრობის ხარჯები. მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ხდება მშობლიურ და მასპინძელ ქალაქებს შორის არსებული მანძილის შესაბამისად (მანძილის გამოსათვლელად იხელმძღვანელეთ: Travel Distance Calculator).

სტუდენტებს ასევე სხვა საცხოვრებელი ხარჯების ასანაზღაურებლად გადაეცემათ ყოველთვიური სტიპენდია 800-900 ევრომდე (ქვეყნების მიხედვით ყოველთვიური სტიპენდიის რაოდენობა იხილეთ ბმულზე).

გასათვალისწინებელია, რომ სტიპენდია არ მოიცავს სავიზო პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას და აღნიშნული ხარჯების გაწევა ხდება სტუდენტის მხრიდან.

ამასთან, სტიპენდიის მიღება, ძირითად შემთხვევაში, ხდება მობილობის დაწყების შემდგომ. ამდენად გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტს შესაძლოა მოუწიოს მობილობის დაგეგმვასთან დაკავშირებული გარკვეული ხარჯების მობილიზება სტიპენდიის მიღებამდე.

ვის შეუძლია ERASMUS+ გაცვლითი პროგრამით სარგებლობა?

ERASMUS+ გაცვლითი პროგრამა განკუთვნილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის.

კონკურსში მონაწილეობისათვის საჭიროა:

- აქტიური სტუდენტის სტატუსი;

-ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტისათვის სავალდებულოა მინიმუმ 60 კრედიტის დასრულება;

-შესაბამისი უცხო ენის მინიმუმ B2 დონის კომპეტენცია;

-კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის იმ სტუდენტებს, რომელთაც ანალოგიურ საფეხურზე წარსულში უკვე მოიპოვეს ERASMUS+ სტიპენდია, ხოლო დოქტორანტურის საფეხურის იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ ERASMUS-ის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი მობილობის/მობილობების ჯამური ხანგრძლივობა 12 თვეს აღემატება.

-დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს არ უნდა ჰქონდეთ დასრულებული და ჩაბარებული სადისერტაციო ნაშრომი როგორც განაცხადის შემოტანის, ისე მობილობის განხორციელების დროს; ასევე დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს დაცული უნდა ჰქონდეთ პროსპექტუსი. გამონაკლისი დაიშვება იმ დოქტორანტი სტუდენტებისთვის, რომლებიც კონკურსის ეტაპზე წარმოადგენენ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობით თანხმობას მათ მიერ საერთაშორისო მობილობის განხორციელებაზე პროსპექტუსის დაცვამდე.

შესაძლებელია თუ არა დამამთავრებელ სემესტრში მობილობის განხორციელება?

დამამთავრებელი სემესტრის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის მობილობის განხორციელება შესაძლებელია.

იმ შემთხვევაში, თუკი ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტს სურს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა, მან კონკურსის პერიოდში უნდა წარმოადგინოს საბაკალავრო ნაშრომის მშობლიურ უნივერსიტეტში შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი კვლევის გეგმა (Bachelor thesis proposal).

მაგისტრატურის საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა განაცხადების მიღების პერიოდში სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო კვლევის გეგმა (Master thesis proposal), ხელმოწერილი როგორც მასპინძელი უნივერსიტეტიდან სამეცნიერო ხელმძღვანელის, ისე მშობლიურ უნივერსიტეტში შერჩეული თანახელმძღვანელის მიერ.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე (პარ. 2.2.1).

რომელ უნივერსიტეტებში არის შესაძლებელი მობილობის განხორციელება?

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტმობილობის განხორციელება სტუდენტებს შეუძლიათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტებში. პარტნიორი უნივერსიტეტების სია ყოველწლიურად განახლებადია.

მიმდინარე პარტნიორების სია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

როდის და როგორ შეუძლია დაინტერესებულ კანდიდატს კონკურსში მონაწილეობის მიღება?

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტმობილობის ფარგლებში კონკურსი აკადემიური წლის განმავლობაში 2-ჯერ ცხადდება. გაზაფხულის სემესტრისათვის კონკურსი სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში ცხადდება, ხოლო შემოდგომის სემესტრისათვის - თებერვალში. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ილიაუნის ელ-ფოსტის, არგუსის, ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელებში უნივერსიტეტის ოფიციალური ჯგუფების საშუალებით.

კონკურსი მინიმუმ 3 კვირის განმავლობაში მიმდინარეობს და ამ პერიოდში დაინტერესებულმა სტუდენტებმა უნდა წარადგინონ განაცხადი ელექტრონულად, ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის თანდართვით.

რამდენ უნივერსიტეტში შეუძლია კანდიდატს განაცხადის წარმოდგენა?

სტუდენტს განაცხადის წარმოდგენა მაქსიმუმ 5 უნივერსიტეტისათვის შეუძლია. გაითვალისწინეთ, რომ ელექტრონული განაცხადის ფორმა მხოლოდ ერთხელ ივსება და თითოეული უნივერსიტეტისათვის ცალ-ცალკე განაცხადის წარმოდგენა საჭირო არ არის.

ამასთან, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ განაცხადში მითითებული უნივერსიტეტების თანმიმდევრობა უნდა შეესაბამებოდეს თქვენს პრიორიტეტებს. ნომინირების ეტაპზე აღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინება შესაძლებლობების ფარგლებში მოხდება.

რა უნდა გავითვალისწინოთ მასპინძელი უნივერსიტეტების შერჩევისა და მათთვის პრიორიტეტების მინიჭების დროს?

უნივერსიტეტის შერჩევისას მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება. გაეცანით მიმდინარე კონკურსების გრაფაში განთავსებულ საკონკურსო განცხადებაში თითოეული უნივერსიტეტისათვის ინდივიდუალურად მომზადებულ საინფორმაციო ბროშურას. აღნიშნულში მითითებულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტული უნივერსიტეტის შემთხვევაში, რომელი საფეხურისა და მიმართულების სტუდენტებისათვის არის კონკურსი გამოცხადებული, აქვს თუ არა უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების რაიმე წინაპირობა და ა. შ.

ამ ინფორმაციის დახმარებით შეძლებთ თქვენთვის რელევანტური უნივერსიტეტების იდენტიფიცირებას და მათ დალაგებას პრიორიტეტების მიხედვით.

რა დოკუმენტები უნდა ატვირთოს სტუდენტმა ელექტრონული განაცხადის ფორმაში?

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, ატვირთვის წესებთან ერთად, შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

–ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის;

–მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის;

–დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის.

შესაძლებელია თუ არა დოკუმენტების ცალ-ცალკე წარმოდგენა?

კონკურსანტმა ყველა საჭირო დოკუმენტი კონკურსის ვადის დასრულებამდე ერთდროულად უნდა წარმოადგინოს .

საკონკურსო განაცხადები არ განიხილება განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ არასრულყოფილი განაცხადის გამოგზავნის შემთხვევაში, არ მოხდება სტუდენტის ინფორმირება შერჩევის პირველი ეტაპის დასრულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი განაცხადების მიღების ვადის გასვლამდე გამოგზავნილ განაცხადში აღმოაჩენს ხარვეზს, შეუძლია ამის შესახებ აცნობოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, რის შემდეგაც სტუდენტს მიეცემა საშუალება, საკონკურსო ვადის დასრულებამდე განახლებული განაცხადი წარმოადგინოს.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი რეგისტრირებულია უცხო ენის სასერტიფიკატო გამოცდაზე და კონკურსის პერიოდში არ აქვს შედეგების წარმოდგენის საშუალება, გამონაკლისის სახით, მას აქვს უფლება, ელექტრონული განაცხადის ფორმის შესაბამის გრაფაში წარმოადგინოს გამოცდაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; ვალიდური სერტიფიკატის წარმოსადგენად სტუდენტს განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ ეძლევა 7 კალენდარული დღე.

რა დოკუმენტის წარმოდგენა შეუძლია სტუდენტს შესაბამისი უცხო ენის კომპეტენციის დასადასტურებლად?

ყველა კონკურსანტი ვალდებულია, კონკურსის პერიოდში წარმოადგინოს უცხო ენის მინიმუმ B2 კომპეტენციის დამადასტურებელი ვალიდური ცნობა/სერტიფიკატი. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთ

უნივერსიტეტს შესაძლოა ჰქონდეს სპეციფიკური მოთხოვნები უცხო ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით, მაგ.: C1 დონის კომპეტენცია, საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი და ა. შ. ამ შემთხვევაში სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს კონკრეტული უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტი.

ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატების/ცნობების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე.

გაითვალისწინეთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უცხო ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების ჩატარებას არ უზრუნველყოფს.

რა კითხვებზე უნდა უნდა გასცეს სტუდენტმა პასუხი სააპლიკაციო ფორმაში?

ელექტრონულ სააპლიკაციო ფორმაში მითითებულია მოტივაციის შესახებ კითხვები, რომლებზეც განსაზღვრული სიმბოლოების შეზღუდვის გათვალისწინებით, კანდიდატმა აპლიკაციაშივე უნდა მიუთითოს პასუხები.

კითხვების სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ბმულს.

რას გულისხმობს სასწავლო ხელშეკრულება?

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტმობილობა გულისხმობს მობილობის პერიოდში მიღებული კრედიტების აღიარებას სტუდენტის მშობლიური კურიკულუმის ფარგლებში.

მასპინძელ უნივერსიტეტში შერჩეული კურსების მშობლიურ აკადემიურ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მზადდება სასწავლო ხელშეკრულება (Learning Agreement). სასწავლო ხელშეკრულებაში საგნების შესაბამისობას დადგენას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის (კურიკულუმის) ექსპერტი.

როგორ მოვამზადოთ სასწავლო ხელშეკრულება განაცხადის წარდგენის ეტაპზე?

კონკურსის პირველ ეტაპზე სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სასწავლო ხელშეკრულების სამუშაო ვერსია. სამუშაო ვერსია გულისხმობს, რომ დოკუმენტი არ საჭიროებს ფაკულტეტთან შეთანხმებასა და შესაბამისად, ხელმოწერით დამოწმებას.

ხელშეკრულების ხელმოწერილი ვერსია მოეთხოვებათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც წარმატებით გადალახავენ შეფასების მესამე, გასაუბრების ეტაპს.

სასწავლო ხელშეკრულების მომზადების ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე. კურსების კატალოგის ბმული განთავსებულია თითოეული უნივერსიტეტისათვის მომზადებულ საინფორმაციო ბროშურაში.

გასათვალისწინებელია, რომ პარტნიორ უნივერსიტეტებს შესაძლოა არ ჰქონდეთ განახლებული კურსების კატალოგი მომავალი სემესტრებისათვის, რა დროსაც, სტუდენტმა უნდა იხელმძღვანელოს იმ დროისათვის არსებული მონაცემებით.

რა ეტაპებს გადის განაცხადი საბოლოო შერჩევამდე?

განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ აპლიკანტების შეფასება და ნომინირება მასპინძელ უნივერსიტეტში ხდება ქვემოთ მითითებული ეტაპებისა და პროცედურების დაცვით:

ა) სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ბ) სააპლიკაციო დოკუმენტების შეფასება - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

გ) გასაუბრება კომისიასთან - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ზოგიერთ შემთხვევაში პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად);

დ) კანდიდატთა ნომინირება მასპინძელ უნივერსიტეტში - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ე) საბოლოო შერჩევა - პარტნიორი უნივერსიტეტი.

რას გულისხმობს განაცხადის ვალიდაციის ეტაპი?

ვალიდაციის ეტაპი იწყება განცხადების მიღების დასრულებისთანავე და მისი მიზანია აპლიკანტისა და მის მიერ წარმოდგენილი განაცხადის ვალიდურობის დადგენა. კერძოდ, მოწმდება

ა) თანდართულია თუ არა ყველა სავალდებულო დოკუმენტი;

ბ) სწორადაა თუ არა შედგენილი ყველა სავალდებულო დოკუმენტი;

გ) აკადემიური საფეხურისა და აკადემიური მიმართულების რელევანტურობა;

დ) უცხო ენის ცოდნის დონის შესაბამისობა საკონკურსო მოთხოვნებთან;

ე) აპლიკანტის მიმდინარე სემესტრი/სასწავლო წელი;

ვ) იმავე საფეხურზე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება და ხანგრძლივობა.

კანდიდატი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადის შეფასების შემდგომ ეტაპზე, თუკი მისი განაცხადი სრულად აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს.

რა კრიტერიუმებით ხდება სააპლიკაციო დოკუმენტის შეფასება?

ვალიდური აპლიკაციების შეფასება მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

შეფასება ხდება 0-80-ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

-უცხო ენის ცოდნის დონე - 40 ქულა (შეფასების სქემა იხ. აქ)

-აკადემიური მოსწრება - 40 ქულა (გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მიერ დასრულებული ყველა საფეხურის და/ან სემესტრის საშუალო შეფასება. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება მიმდინარე და ბოლოს დასრულებული საფეხურის აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებლები და თითოეულს მიენიჭება თანაბარი წილი).

რა ვადებში და როგორ მივიღებ პასუხს ჩემი აპლიკაციის ვალიდურობისა და შეფასების შესახებ?

განაცხადის ვალიდურობისა და შეფასების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, განაცხადების მიღების დასრულებიდან 3-4 კვირის განმავლობაში, ხოლო კონკურსანტებს აღნიშნულის შესახებ ეცნობებათ ილიაუნის ელ-ფოსტის საშუალებით.

რა შემთხვევაში გადადის სტუდენტი გასაუბრების ეტაპზე?

თითოეული კონკურსის ფარგლებში გასაუბრებაზე კანდიდატების მოწვევისთვის დგინდება ჯამური შეფასების ინდივიდუალური ქვედა ზღვარი, რაც დამოკიდებულია ამ კონკურსის ფარგლებში არსებულ კონკურენციაზე,

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ დაწესებულ კვოტებსა და მოთხოვნებზე. პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომელთა ძირითადი (major) პროგრამა მშობლიურ უნივერსიტეტში შეესაბამება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ აკადემიურ მიმართულებას.

რა ენაზე მიმდინარეობს გასაუბრება?

გასაუბრება მიმდინარეობს მასპინძელი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამის უცხო ენაზე.

ვინ შეადგენს გასაუბრების კომისიას?

გასაუბრების კომისია შედგება 3 წევრისაგან, კერძოდ: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლის/წარმომადგენლებისგან და ფაკულტეტების მიერ ნომინირებული პროფესორის/პროფესორებისაგან .

როგორ ხდება გასაუბრების კომპონენტის შეფასება?

გასაუბრების მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა. კომისიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აფასებს კანდიდატებს მაქსიმუმ 20 ქულით. გასაუბრების საბოლოო შეფასება ხდება კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო მაჩვენებლით. გასაუბრების დროს კომისიის წევრების მიერ გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მოტივაცია, კომუნიკაციის უნარი, პროფესიული მიზნები და ექსტრაკურიკულარული აქტივობები, აკადემიური შესაბამისობა მშობლიურ და მასპინძელ პროგრამებს შორის.

შესაძლებელია თუ არა მიღებული შეფასებების გასაჩივრება?

სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ მეორე ეტაპზე მიღებული შეფასება. ზეპირი გასაუბრების შედეგები გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

შეფასების მეორე ეტაპის შედეგების მიღებიდან 3 დღის ვადაში სტუდენტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. კონკურსანტმა საჩივრის განცხადება უნდა დაწეროს საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის სახელზე, ჩააბაროს უნივერსიტეტის კანცელარიაში ან გამოაგზავნოს ელექტრონულად მისამართზე info@iliauni.edu.ge.

გასაჩივრების წესი იხ. ბმულზე (პარ. 2.8).

როგორ გამოითვლება სტუდენტის საბოლოო საკონკურსო ქულა?

სტუდენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება მეორე (დოკუმენტების შეფასება) და მესამე (გასაუბრება) ეტაპზე მიღებული შეფასებების ჯამური ქულით – მაქსიმალური შეფასება გახლავთ 100 ქულა. გასაუბრების შემდეგ ხდება აპლიკანტების რანჟირება საბოლოო შეფასების ქულების მიხედვით.

როგორ ხდება კანდიდატთა შერჩევა ნომინირებისათვის?

სტუდენტთა ნომინირებისას მხედველობაში იქნება მიღებული კანდიდატთა რანჟირება მათი საბოლოო შეფასებების მიხედვით, მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კვოტები და მოთხოვნები და განაცხადის წარდგენის ეტაპზე კანდიდატთა მიერ მითითებული პრიორიტეტები. თითოეული სტუდენტის ნომინირება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში ხდება.

ის სტუდენტები, რომელთაც წარმატებით გაიარეს კონკურსის ყველა ეტაპი, მაგრამ მათი ჯამური ქულა არ აღმოჩნდა საკმარისი არცერთ სასურველ უნივერსიტეტში ნომინირებისათვის, ავტომატურად ხვდებიან სარეზერვო სიაში.

ნომინირების ეტაპის შედეგებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ელ-ფოსტის საშუალებით აცნობებს როგორც ნომინირებულ, ისე სარეზერვო სიის კანდიდატებს.

როდის იქნება საბოლოო შედეგები ცნობილი?

საბოლოო გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ მასპინძელი უნივერსიტეტი იღებს.

გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისად, შედეგების შეტყობინების ვადები განსხვავებულია ყოველი უნივერსიტეტისათვის და მათი შიდა პროცედურებიდან გამომდინარე, საშუალოდ 4-6 კვირამდე მერყეობს.

მობილობის განხორციელება

როგორ დავადასტურო სტიპენდიის მიღებაზე თანხმობა?

მასპინძელი უნივერსიტეტისგან პირველივე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ სტუდენტმა 3 სამუშაო დღის ვადაში უნდა დაადასტუროს ან უარი თქვას მიღებულ სტიპენდიაზე. სტუდენტმა გადაწყვეტილების შესახებ წერილობით უნდა აცნობოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს. 3 დღის ვადის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან და სტიპენდია გადაეცემა რანჟირებულ სიაში მყოფ მომდევნო კანდიდატს.

შესაძლებელია თუ არა სტიპენდიაზე უარის თქმა მას შემდეგ, რაც სტუდენტმა უკვე განაცხადა თანხმობა?

იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზის გამო, სტუდენტს უწევს უარის თქმა სტიპენდიაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ელ-ფოსტაზე: erasmusplus@iliauni.edu.ge.

როდის იწყება მიმღებ უნივერსიტეტში მობილობა?

მობილობის დაწყების პერიოდი დამოკიდებულია მასპინძელი უნივერსიტეტის აკადემიურ კალენდარზე და ასევე საორიენტაციო დღეებსა თუ კვირეულზე (Welcome day/week), რომელსაც მიმღები უნივერსიტეტი ატარებს საერთაშორისო სტუდენტებისთვის სემეტრის დაწყებამდე.

დეტალური ინფორმაცია აკადემიურ კალენდართან დაკავშირებით იხილეთ შესაბამისი მიმღები უნივერსიტეტის ბროშურაში მითითებულ ვებგვერდზე.

რა ტიპის აქტივობები განხორციელდება შერჩეული სტუდენტებისათვის?

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ორგანიზებას უწევს გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრას (PDO) ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული სტუდენტებისთვის. შეხვედრა მიზნად ისახავს გამარჯვებული სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის გამოცდილებისა და პრაქტიკული რჩევების გაზიარებას და შიდა საუნივერსიტეტო პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. შეხვედრას ესწრებიან ERASMUS+ პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც ახლად შერჩეულ სტუდენტებს ინფორმაციას აწვდიან მათთვის შესაბამისი ქვეყნისა და უნივერსიტეტის შესახებ.

მობილობის დაწყებამდე რა პროცედურების გავლაა საჭირო მშობლიურ უნივერსიტეტში?

მობილობის დაწყებამდე სტუდენტი ვალდებულია, წარადგინოს შევსებული სასწავლო ხელშეკრულება. სასწავლო ხელშეკრულების შეთანხმება მშობლიურ ფაკულტეტთან ხდება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის შუამდგომლობით.

სტუდენტმა უნდა გამოგზავნოს შევსებული ხელშეკრულება MS Word-ის ფორმატში მისამართზე erasmusplus@iliauni.edu.ge. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ხელშეკრულებას უგზავნის შესაბამისი მიმართულების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტს უკუკავშირისთვის და საბოლოო ხელმოწერისთვის, რის შემდეგაც სტუდენტს ელ-ფოსტაზე დაუბრუნდება ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ხელშეკრულების ადგილზე გატანაც. ინსტრუქცია სასწავლო ხელშეკრულების შევსების შესახებ იხილეთ ბმულზე.

ამასთან, გამგზავრებამდე არა უმეტეს ერთი თვით და არა უგვიანეს ორი კვირით ადრე, სტუდენტმა საქმის კურსში უნდა ჩააყენოს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ამისათვის, სტუდენტი რექტორის სახელზე წერს განცხადებას გაცვლითი სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ, რომელსაც სტუდენტმა თან უნდა დაურთოს მასპინძელი უნივერსიტეტიდან მიღებული მოწვევის წერილის ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

მობილობის განხორციელების შემთხვევაში გვინარჩუნდება თუ არა აქტიური სტუდენტის სტატუსი ილიაუნიში?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონში შესული ცვლილების შესაბამისად, სტუდენტს, რომელიც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობს, არ აქვს უფლება მშობლიურ უნივერსიტეტში აიღოს აკადემიური შვებულება. შესაბამისად, საზღვარგარეთ მობილობის პერიოდში სტუდენტის აკადემიური სტატუსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რჩება აქტიური.

მობილობის პერიოდში სტუდენტს ენიჭება გაცვლითი სტუდენტის სტატუსი, რა დროსაც, არგუსის სისტემაში, კურსების არჩევის რეჟიმი პასიურია, ხოლო განცხადების გაგზავნის ფუნქცია - აქტიური.

რა ვადებში მომენიჭება გაცვლითი სტუდენტის სტატუსი ილიაუნიში?

გაცვლითი სტუდენტის სტატუსის მინიჭებას განსაზღვრული ვადები არ აქვს. შესაძლოა, სტატუსის ცვლილების ასახვას დასჭირდეს 30 კალენდარული დღე. იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებამდე სტუდენტს დაეკისრა ჯარიმა, რომელიც გულისხმობს შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვადის გადაცილებას, ჯარიმა მოიხსნება სტატუსის შეცვლის პერიოდში.

შესაძლებელია თუ არა სასწავლო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა? რა საბუთის წარდგენა მიწევს ცვლილების შემთხვევაში?

სასწავლო ხელშეკრულებაში საგნების შეცვლა შესაძლებელია მობილობის დაწყებიდან საშუალოდ 1 თვის ვადაში. მასპინძელ უნივერსიტეტში ჩასვლის შემდეგ, წინასწარ არჩეული საგნების ჩამონათვალში ნებისმიერი ტიპის ცვლილების შეტანის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია erasmusplus@iliauni.edu.ge ელფოსტაზე გამოგზავნოს სასწავლო ხელშეკრულების ცვლილების ნაწილის (During the Mobility) შევსებული გვერდი MS Word-ის ფორმატში. ცვლილების ფაკულტეტთან შეთანხმების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტს გაუგზავნის ხელმოწერილ დოკუმენტს ელექტრონულად, საჭიროების შემთხვევაში ორიგინალ საბუთს - ფოსტით.

როდის მივიღებ სტიპენდიას მიმღებ უნივერსიტეტში?

სტიპენდიის გაცემის პირობები, ისევე, როგორც პერიოდი, განსხვავებულია და დამოკიდებულია მიმღებ უნივერსიტეტზე. სტუდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს საგრანტო ხელშეკრულებას (Grant Agreement), რომელშიც ასახულია დეტალური ინფორმაცია სტიპენდიასთან დაკავშირებით. დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ მასპინძელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს/ერაზმუს+ პროგრამის კოორდინატორს.

შემიძლია თუ არა მობილობის პერიოდში მასპინძელი ქვეყნის დატოვება?

ზოგადი რეგულაცია მობილობის პერიოდში მასპინძელი ქვეყნის დროებით დატოვების შესახებ ერაზმუსს არ აქვს და მას ადგენს კონკრეტული მასპინძელი უნივერსიტეტი. საჭიროების შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, დეტალურად გაეცანით საგრანტო ხელშეკრულების პირობებს. ამასთან, აუცილებლად წერილობითი ფორმით შეათანხმეთ გადაადგილების პირობები მასპინძელი უნივერსიტეტის კოორდინატორთან.

როდის მიწევს სწავლის საფასურის გადახდა ილიაუნიში?

სტუდენტი, რომელიც სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული დაფინანსებული გაცვლითი პროგრამით, მობილობის პერიოდში აგრძელებს სწავლის საფასურის გადახდას მშობლიურ უნივერსიტეტში მოქმედი ხელშეკრულებით დადგენილი ვადებისა და საფასურის გადახდის გრაფიკის გათვალისწინებით (იხ. მუხლი 6).

სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი იხილეთ არგუსის სისტემაში. გაითვალისწინეთ, რომ მობილობის შემდგომი სემესტრის გადახდის გრაფიკი შესაძლოა ემთხვეოდეს მიმღებ უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდს, თუმცა აღნიშნულის გამო გადასახადის გრაფიკის გადავადება არ მოხდება.

შემიძლია თუ არა მობილობის გაგრძელება მასპინძელ უნივერსიტეტში?

სტუდენტს, რომელიც სარგებლობს ერთსემესტრიანი მობილობით, მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება შეუძლია მხოლოდ ე. წ. ნულოვანი გრანტის (Zero Grant) ფარგლებში.

ნულოვანი გრანტი გულისხმობს სტიპენდიის გარეშე მობილობას, თუმცა სტუდენტს ამ დროს უნარჩუნდება გაცვლითი სტუდენტის სტატუსი და თავისუფლდება სწავლის საფასურის გადახდისაგან როგორც მასპინძელ, ისე მშობლიურ უნივერსიტეტში.

მობილობის დასრულების შემდგომი პროცედურები

რა სახის საბუთის წარდგენა მიწევს ილიაუნიში, მობილობის დასრულების შემდგომ?

მობილობის დასრულების შემდგომ სტუდენტმა უნდა წარადგინოს სასწავლო ხელშეკრულების საბოლოო ვერსია, რომლის სამივე ნაწილიც იქნება სრულად შევსებული და დადასტურებული ყველა მხარის ხელმოწერით, ოფიციალურ ნიშნების ფურცელთან ერთად.

როგორ მოხდება აქტიური სტუდენტის სტატუსის აღდგენა ილიაუნიში?

აქტიური სტუდენტის სტატუსის აღდგენა ილიაუნიში მოხდება ავტომატურად, სემესტრის დაწყებისთანავე.

რა ვადებში და როგორ ხდება მიმღებ უნივერსიტეტში გავლილი საგნების ილიაუნიში აღიარება?

კრედიტების აღიარების პროცედურისათვის ვადა არ არის განსაზღვრული. კრედიტების აღიარება მოხდება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური ნიშნების ფურცლის საფუძველზე.

კრედიტების აღიარება რამდენიმე საფეხურისაგან შედგება:

–ოფიციალური ნიშნების ფურცლის ქართულ ენაზე თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება;

–განცხადება უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დადგენის მოთხოვნით (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე);

–ფაკულტეტის მიერ მომზადებული შესაბამისი დასკვნის წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით;

–განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, არგუსის სისტემაში აღიარებული კრედიტების ასახვის მოთხოვნა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე).

როდის შევძლებ საგნების არჩევას?

საგნების არჩევა შესაძლებელი იქნება სისტემა „არგუსში“ საგნების არჩევის რეჟიმის ჩართვისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ მოახერხა მიმღებ უნივერსიტეტში გავლილი საგნების აღიარება სემესტრის დასაწყისისთვის, იგი ვალდებულია მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტისა და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის (კურიკულუმის) ექსპერტს, რათა სწორი მოდულის ფარგლებში მოხდეს საგნების არჩევა.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ ჩამოიტანა სასწავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტები/საგნები?

სტუდენტი იხდის დამატებითი კრედიტების საფასურს იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კურსებში ვერ მოიპოვებს შესაბამის კრედიტს უარყოფითი შეფასების გამო (აღნიშნული ეხება როგორც გრანტიან, ასევე უგრანტო სტუდენტს).

სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტი არ იხდის დამატებითი კრედიტების საფასურს, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოაგროვებს საკმარისი რაოდენობის კრედიტებს მასპინძელი უნივერსიტეტის ბრალეულობით.

რა ვადებში და როგორ ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ილიაუნიში?

იმ სტუდენტისთვის, რომლის მობილობის პერიოდი ემთხვევა მშობლიურ უნივერსიტეტში დამამთავრებელ სემესტრს, სამეცნიერო–კვლევითი კომპონენტის შესრულებისა და დაცვის პირობები უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის კონცეფციით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე დაყრდნობით. სტუდენტი ვალდებულია, დაიცვას ფაკულტეტის/სკოლის მიერ დადგენილი საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ვადები. დაუშვებელია სამაგისტრო ნაშრომის დაცვა დისტანციურად.